საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/29

13 სექტემბერი 2013 წ ქ. ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა მობილობის წესისა და საბუთების მიღება/განხილვის ვადების განსაზღვრის შესახებ “ ბსუ – ს რექტორის 2013 წლის 6 აგვისტოს №01–08/21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მ. მიქელაძის მოხსენებითი ბარათის (11.09 2013 № 4494) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,,სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013–2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა მობილობის წესისა და საბუთების მიღება/განხილვის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2013 წლის 6 აგვისტოს № 01 – 08/21 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და დამატება. ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტირებით, კერძოდ:

1. განისაზღვროს 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობის (სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ფაკულტეტის შეცვლის) ვადები:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2013 წლის 19 აგვისტოდან - 23 აგვისტოს ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2013 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით;

გ) სტუდენტებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა - 2013 წლის 2 სექტემბერი;

დ) ჩარიცხვის ბრძანების გამოცემა - 2013 წლის 7 სექტემბერი.

1.1. განისაზღვროს 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობის (სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ სტატუსშეჩერებული/ სტატუსშეწყვეტილის აღდგენის) ვადები:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2013 წლის 19 აგვისტოდან - 13 სექტემბრის ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2013 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით;

გ) სტუდენტებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა - 2013 წლის 17 სექტემბერი;

დ) ჩარიცხვის ბრძანების გამოცემა - 2013 წლის 18 სექტემბერი.

2. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**